იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული ადიგენის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში წყალმომარაგების სისტემის აგების პროექტის გახსნის ცერემონია

2017 წლის 10 ივლისს, სოფელ ნაქურდევში გაიმართა ადიგენის მუნიციპალიტეტის სამ სოფელში წყალმომარაგების სისტემის აგების პროექტის საზეიმო გახსნის ცერემონია, რომელიც განხორციელდა იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში. ცერემონიას დაესწრნენ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, სახელმწიფო რწმუნებული - გუბერნატორი სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბატონი აკაკი მაჭუტაძე, საქართველოს პარლამენტის წევრი ახალციხის და ადიგენის საარჩევნო ოლქიდან, ბატონი გიორგი კოპაძე, ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი ზაქარია ენდელაძე, უორლდ ვიჯენ საქართველოს დირექტორი, ქალბატონი ეკა ჟვანია.

პროექტი განხორციელდა უორლდ ვიჟენ საქართველოს მიერ. პროექტის ფარგლებში აიგო წყალმომარაგების სისტემა, რომელიც სასმელი წყლით უზრუნველყოფს სოფლად მცხოვრებ 800-მდე ადამიანს. ამ პროექტისთვის გრანტის ოდენობა 85,904 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს. პროექტის თანადაფინანსება განახორციელა ადიგენის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციამ.



რეაბილიტაციამდე და რეაბილიტაციის შემდეგ